



## „ნენსკრა ჰესის“ პროექტი ქვეყნისთვის დამატებით ფისკალურ რისკებს წარმოშობს

access\_time 2018-06-11 19:25:49

საერთაშორისო სავალუტო ფონდი კომპანია „ნენსკრა ჰიდროზე“ გაცემულ გარანტიებს უნიკალურ შემთხვევად განიხილავს. კერძოდ, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, ნენსკრა ჰესის პროექტი ქვეყნისთვის დამატებით ფისკალურ რისკებს წარმოშობს. ანგარიშში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გამოაქვეყნა, ასევე აღნიშნულია, რომ საზოგადოებისთვის დღემდე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილია ცნობილი.

როგორც „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი განმარტავს, „ნენსკრა ჰესის“ პროექტი ქვეყნისთვის სავალალო შედეგების მომტანია, რადგან საეჭვოა როგორც ხელშეკრულების დეტალები, ასევე დოკუმენტის ფარგლებში ხელისუფლების მხრიდან აღებული ვადლებულებებიც. რაც შეეხება თავად იმ გარანტიებს, რომელსაც მთავრობა პროექტის განმახორციელებელს ჰპირდება, დავით ჭიპაშვილი კომერსანტთან დეტალურად განმარტავს.

გარანტიების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1. პროექტის განმახორციელებელი კომპანიისთვის უზრუნველყოფილია კაპიტალში განსახორციელებელ ინვესტიციებზე 12.5%-იანი უკუგების შიდა განაკვეთი;
2. ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის

**შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს თანამშრომლობის განწყვეტა.**

**შედეგად, საქართველოს მოუწევს პროექტის განმახორციელებელი კომპანიისთვის 800 მლნ. აშშ. დოლარისა და დამატებით კაპიტალში განსახორციელებელ ინვესტიციებზე 12.5%-იანი უკუგების შიდა განაკვეთის გადახდა (რაც შეადგენს ქვეყნის 2016 წლის მშპ-ს 6.2%-ს, რომელსაც ემატება უკუგების შიდა განაკვეთის ოდენობით);**

**3. შექმნილია სპეციალური მექანიზმები, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს საქართველომ, რათა კომპანიის შემოსავალი დაგეგმილზე ნაკლები არ გამოვიდეს, ანუ „ნენსკრა ჰესი“ გავა თუ არა დაგეგმილ გამომუშავებაზე, მან შემოსავალი მაინც უნდა მიიღოს. არადა, ალბათობა, რომ დაგეგმილ გამომუშავებზე ვერ გავა არის ძალიან მაღალი, რადგან ყველა სხვა ობიექტის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ოღონდ სხვებისგან განსხვავებით, აქ დარჩენილი გამომუშავების მაჩვენებელი სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს გაზრდილი ტარიფის სახით;**

**4. ელექტროენერჯის ფასი - უფრო მუსტად, ხელშეკრულების მიხედვით „ნენსკრა ჰიდროსთვის“ დაფიქსირებულია 2019 წლის ფასები ( 0.78 ცენტზე და 3 %-იანი ინფლაცია), აღნიშნული კი პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ნენსკრა ჰესიდან ელექტროენერჯის ფასი ყოველწლიურად გაიზრდება, რადგან ის უნდა იყოს უზრუნველყოფილი სწორედ 2019 წლის ფასებით. სხვა პროექტების შემთხვევაში კი ფასები 10 წლის განმავლობაში არის ფიქსირებული და არა მზარდი, მითუმეტეს, ნენსკრას ვითარებაში ეს ფასები მზარდი იქნება 36 წლის განმავლობაში;**

**5. სავალუტო რისკები - სავალუტო ფონდის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყველა ვალდებულება მთავრობას აღებული აქვს აშშ. დოლარში და შესაბამისად, კურსის ცვლილებებიც დამატებით საფრთხეებად არის შეფასებული;**

**6. საქართველოს თავის თავზე აქვს აღებული ჰიდროლოგიურ მშენებლობასთან დაკავშირებული რისკებიც. ე.ი. რამე რომ ჩამოინგრას, მთავრობა აანაზღაურებს;**

**7. დამატებითი გამოწვებაა ისიც, რომ პროცესებში არ მონაწილეობს სემეკი (საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია), რომელმაც რეალურად უნდა შექმნას ბაზარი. საბოლოო ჯამში გვექნება ბევრი დენი და ნაცვლად იმისა, რომ მისი ფასი დაარეგულიროს ბაზარმა, ნაკისრი ვალდებულებების გამო, ყველაფრის მიუხედავად მაინც მაღალი ფასი გვექნება;**

**8. უცნობია რა ეტაპზეა ახლა პროექტი. ვიცით მხოლოდ ის, რომ ორმა ბანკმა დაამტკიცა სესხი , თუმცა მათი გაცემა არ მომხდარა. რადგან საქართველომ აიღო ყველა რისკი თავის თავზე, პროექტის განმახორციელებს არანაირი**

**რისკი არ რჩება, ანუ არაფერს კარგავს არც ის და არც ბანკები. ზუსტად ამიტომ აქცევს სავალუტო ფონდიც აღნიშნულ პროექტს ასეთ ყურადღებას და ამ ყველაფრის გამო უწოდებს მას „უნიკალურს“.**

დავით ჭიპაშვილის თქმით, როგორც სავალუტო ფონდის ანგარიშშია აღნიშნული, არსებული რისკებისგან თავის ასაცილებლად ერთადერთი გამოსავალი კაბალური ხელშეკრულებების ერთიან-ჩარჩო სისტემაში მოქცევაა.

**„გარდა იმისა, რო ყველა ეს ხელშეკრულება ერთიან სისტემაში უნდა მოექცეს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყველა ჰესის აშენებისთვის ხელშეკრულებების (სულ 82) მიხედვით, ჯამში აღებული აქვს 8.6 მლრდ. აშშ დოლარის ვალდებულებები, რაც 2016 წლის მშპ-ს 66 %-ია. ისმის რიტორიკული კითხვა — როგორ აპირებს ქვეყანა იმ თანხის გადახდას, რაც ორი საქართველოს ბიუჯეტის ოდენობისაა?“- განმარტავს ჭიპაშვილი.**

რაც შეეხება მეორე მხარის პოზიციას, საქართველოს საპარტნიორო ფონდი, რომლის ერთ-ერთი პროექტიცაა სწორედ „ნენსკრა ჰესი“, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ასე პასუხობს:

**„ნენსკრა ჰესის პროექტი მართლაც უნიკალური პროექტია, რომელიც საჭიროებდა მთავრობის მხრიდან განსხვავებულ მიდგომას. ეს არის ყველაზე მაღალ კაშხლიანი და დიდი ტევადობის წყალსაცავის მქონე მარეგულირებელი სადგური, რომლის ამოცანაცაა ენერგოდამოუკიდებლობა და ენერგოუსაფრთხოება. ამასთან, ეს არის ენერგეტიკაში პირველი ე.წ. Built – Own – Transfer (BOT) ტიპის პროექტი, ანუ ინვესტორი ააშენებს სადგურს საკუთარი სახსრებით და მხოლოდ დროებით ფლობს მას. 36 წლის შემდეგ ის ვალდებულია დაუბრუნოს საქართველოს სახელმწიფოს „ნენსკრა ჰესი“ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, გამართულ მდგომარეობაში. ყოველივეს გათვალისწინებით, სახელმწიფომ მიზანშეწონილად ჩათვალა მეტი გარანტიები გაეცა პროექტის განხორციელებისთვის, რასაც ითხოვდა არა მხოლოდ ინვესტორი, არამედ პროექტში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (EBRD, EIB, ADB, KDB)“.**

როგორც საპარტნიორო ფონდში განგვიმარტეს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ზოგადად ძალიან კონსერვატიული ორგანიზაციაა, რითაც აიხსნება მისი მიდგომებიც კონკრეტულად „ნენსკრა ჰესთან“ მიმართებაშიც.

**„სავალუტო ფონდის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის მონიტორინგის საფუძველზე გასცეს რეკომენდაციები ფინანსური სტაბილურობის სფეროში. აღნიშნული ფონდი ზოგადად ყველა პიძრო ელექტრო სადგურზე (მიუხედავად მათი ზომისა) გაცემულ ელ.ენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას აფასებს, როგორც პოტენციური ფისკალური რისკის წყაროდ. გარანტირებული შესყიდვის კონტრაქტების მექანიზმმა უაღრესად დადებითად იმოქმედა დარგის განვითარებაზე და საქართველოს საკუთარი ენერგო რესურსებით უზრუნველყოფის ამაღლებაზე, თუმცა ეს ეტაპი დასრულდა. ამჟამად მზადდება ენერგეტიკული ბაზრის დერეგულირების რეფორმა , რომელიც ჩაანაცვლებს გარანტირებული შესყიდვების კონტრაქტების პრაქტიკას“, - აღნიშნავენ საპარტნიორო ფონდში.**

**საკითხის მეტად დაზუსტებითვის, „კომერსანტი“ თავად კომპანია „ნენკსრა ჰიდროსაც“ დაუკავშირდა. როგორც კომპანიაში განგვიცხადეს, საპარტნიორო ფონდის განმარტება და პასუხი სრულად ამომწურავია და დასამატებელი არაფერია.**

**სალომე ლემონჯავა**

